შპს „სოლო“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2020 წ.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 4

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 10
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 10
6. გადახდილი ავანსები, მიღებული ავანსები, ღონისძიებიდან მიღებული შემოსავალი და ღონისძიებისთვის მოსამზადებელი ხარჯები 10
7. ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან 10
8. რისკის მართვა 11
9. სამართლიანი ღირებულების შეფასება 12
10. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 12
11. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 13

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	*2020*	*2019*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	1,618	1,525
დებიტორული მოთხოვნები		130	64
გადახდილი ავანსები	6	56	4,525
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1,219	1,287
არამატერიალური აქტივები		1	2
ძირითადი საშუალებები		22	38
სულ აქტივები		**3,046**	**7,441**
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან	7	-	4,352
მიღებული ავანსები	6	2	360
ანარიცხები თანამშრომელთა ანაზღაურებაზე		15	21
კრედიტორული დავალიანებები		258	163
სულ ვალდებულებები		**275**	**4,896**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)		1,771	1,545
სულ კაპიტალი		**2,771**	**2,545**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**3,046**	**7,441**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად შემდეგი პირების მიერ:

ნინო ჩიქოვანი დირექტორი

1 სექტემბერი, 2021 წ.

5-13 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	*2020*	*2019*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	1,618	1,525
დებიტორული მოთხოვნები		130	64
გადახდილი ავანსები	6	56	4,525
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1,219	1,287
არამატერიალური აქტივები		1	2
ძირითადი საშუალებები		22	38
სულ აქტივები		**3,046**	**7,441**
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან	7	-	4,352
მიღებული ავანსები	6	2	360
ანარიცხები თანამშრომელთა ანაზღაურებაზე		15	21
კრედიტორული დავალიანებები		258	163
სულ ვალდებულებები		**275**	**4,896**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)		1,771	1,545
სულ კაპიტალი		**2,771**	**2,545**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**3,046**	**7,441**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად შემდეგი პირების მიერ:

ნინო ჩიქოვანი — დირექტორი

1 სექტემბერი, 2021 წ.

მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	*2020*	*2019*
სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		3,453	3,736
საოპერაციო შემოსავალი		**3,453**	**3,736**
მარკეტინგული და სარეკლამო ხარჯები		(891)	(529)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(1,020)	(1,156)
ხელფასები და სხვა ბენეფიტები თანამშრომლებისთვის		(700)	(626)
ადმინისტრაციული ხარჯები		(76)	(290)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(17)	(27)
საოპერაციო ხარჯები		**(2,704)**	**(2,628)**
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხებ სახსრებზე	7	(175)	(51)
წმინდა მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(346)	78
ფინანსური შემოსავალი (ხარჯები)		**(521)**	**27**
წლის მოგება, გადასახადით დაბეგვრამდე		**228**	**1,135**
მოგების გადასახადის ხარჯი		(2)	(1)
წლის მოგება		**226**	**1,134**

5-13 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	*გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)*	*სულ*
2018 წლის 31 დეკემბერი	**1,000**	**411**	**1,411**
წლის მოგება	-	1,134	1,134
2019 წლის 31 დეკემბერი	**1,000**	**1,545**	**2,545**
წლის მოგება	-	226	226
2020 წლის 31 დეკემბერი	**1,000**	**1,771**	**2,771**

5-13 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	*2020*	*2019*
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
მიღებული შემოსავალი		3,453	3,736
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(175)	-
წმინდა არარეალიზებული ზარალი საკურსო სხვაობიდან		(59)	-
გადახდილი ხელფასები და სხვა ბენეფიტები თანამშრომლებისთვის		(700)	(626)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(2,139)	(1,973)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**380**	**1,137**
დებიტორული მოთხოვნები		(66)	440
გადახდილი ავანსები		4,469	(4,418)
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		68	(647)
წმინდა ზრდა (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში			
მიღებული ავანსები		(358)	357
ანარიცხები თანამშრომელთა ანაზღაურებაზე		(6)	6
კრედიტორული დავალიანებები		6	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები, მოგების გადასახადამდე		**4,493**	**(3,125)**
გადახდილი მოგების გადასახადი		238	(1)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**4,731**	**(3,126)**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალების შეძენა		-	(20)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**-**	**(20)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დაკავშირებული მხარეებისგან მოზიდული სახსრები		(4,494)	4,301
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(4,494)**	**4,301**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(144)	78
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**93**	**1,233**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5	**1,525**	**292**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	5	**1,618**	**1,525**

5-13 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „სოლო" (შემდგომში, „სოლო", ან „კომპანია") დაარსდა 2015 წლის 22 აპრილს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება („შპს"), საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. კომპანია თავის მომხმარებელს სთავაზობს სრულიად განსხვავებულ კლიენტზე ორიენტირებულ საბანკო კონცეფციას. სოლო მომხმარებლები სარგებლობენ პრივილეგირებული საბანკო მომსახურებით და იზიარებენ SOLO LIFESTYLE-ის შეუზღუდავ შესაძლებლობებს.

„სოლოს" იურიდიული მისამართია: დავით აღმაშენებლის გამზირი #79, თბილისი 0102, საქართველო.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ბიჯი ფაინანშიალი" იყო შპს „სოლოს" პირდაპირი 100%-იანი აქციონერი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბიჯეო გრუფ ფლს" ("BGEO PLC", ყოფილი სახელწოდება Bank of Georgia Holdings PLC) იყო გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული ღია სააქციო საზოგადოება და წარმოადგენდა შპს „სოლოს" საბოლოო მშობელ კომპანიას. „ბიჯეო ფლს"-ს აქციები დაშვებული იყო გაერთიანებული სამეფოს ლისტინგის ოფიციალური სიის პრემიუმ ლისტინგში და სავაჭროდ დაშვებული იყო „ლონდონის საფონდო ბირჟა ფლს-ს" მთავარ ბაზარზე ჩამოთვლილი ფასიანი ქაღალდებისთვის, რომელიც ძალაშია 2012 წლის 28 თებერვლიდან.

2017 წლის 3 ივლისს, „ბიჯეო გრუფ ფლს"-მ განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ, რომ „ბიჯეო გრუფ ფლს" გაეყო ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ საბანკო ბიზნესად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფის" სახით, და ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ საინვესტიციო ბიზნესად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალის" სახით, 2018 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის. გაყოფა (შემდგომში წოდებული „გაყოფა") დასრულდა 2018 წლის 29 მაისს და შედეგად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი ფლს" ("BOGG") გახდა შპს „სოლოს" 100% წილის საბოლოო მფლობელი. 2019 წლის 31 დეკემბერს, „საქართველოს ბანკის ჯგუფი ფლს" წარმოადგენდა „სოლოს" საბოლოო მშობელ კომპანიას.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარეებელი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის 21 მაისით დათარიღებული #6 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებისბელი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის 21 მაისით დათარიღებული #6 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისადტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის 21 მაისით დათარიღებული #6 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიას აღრიცხვის წარმოება და მარეგულირებელი ორგანოებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ლარში მოეთხოვება. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

„სოლოს" ხელმძღვანელობის წევრების შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვეს კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, წარმოდგენილია მე-9 შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება იმ დაშვებას, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ტრანზაქცია ხორციელდება:

- აქტივებისა და ვალდებულებების ძირითად ბაზარზე; ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიისთვის. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ დაშვებების გამოყენებით, რომელსაც გამოიყენებდნენ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას, იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის მონაწილეები მოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მიხედვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხებისგან, რომელიც დასაფარია წარმოშობიდან 90 დღის განმავლობაში და თავისუფალია საკონტრაქტო ვალდებულებებისგან და რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში, რომელსაც აკლდება დასრულების სავარაუდო ხარჯი და გაყიდვის განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის ექსპლუატაციაში გასაშვებად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, 5-10 წლის სასარგებლო მომსახურების ვადის ფარგლებში. ძირითადი საშუალებები ძირითადად მოიცავს კომპიუტერებსა და სატრანსპორტო საშუალებებს.

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება, საჭიროებისამებრ, ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება - განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი. ძირითადი საშუალების აქტივის გაუქმება ხდება გასხვისებისთანავე, ან, როდესაც მისი გამოყენების ან განკარგვისგან აღარ იქნება მოსალოდნელი რაიმე სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც გამოწვეულია აქტივის გაუქმებისგან (გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის), აღირიცხება დამოუკიდებელი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ წელს, როცა აქტივი გასხვისდება.

არამატერიალური აქტივები

ცალკეული შეძენილი არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება 4-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება არამატერიალური აქტივის გაუფასურების ნიშნების არსებობისას. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ისნტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული, ან ფინანსური ინსტრუმენტი, ან სხვაგვარად დაკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის რეალური ღირებულებით, რასაც აკლდება შესაბამის ოპერაციასთან პირდაპირ დაკავშირებული თანხები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის დამოუკიდებელ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე, ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის ფარგლებში. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას თავის ყველა ფინანსურ აქტივზე და ასახავს მოსალოდნელ ზარალს გამოყენების სრულ ვადაზე.

ფასს 9-ის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი დაშვებები და ვარაუდები წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, შესაბამის შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება, როდესაც:

- ამოიწურება აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება; ან
- კომპანიამ აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება გადასცა, ან შეინარჩუნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, მაგრამ, იკისრა მათი არსებითი დაგვიანების გარეშე სრულად გადახდის ვალდებულება მესამე მხარისთვის ტრანზიტული შეთანხმების საფუძველზე; და
- კომპანია (ა) გადასცემს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ან (ბ) არ გადასცემს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მაგრამ გადასცემს აქტივის კონტროლს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო, შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის დამოუკიდებელ ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

საქართველოში, 2017 წლის 1 იანვრიდან, არ იბეგრება საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალად. გარეშე ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ახალი აქციების გამოშვებასთან, საწარმოს გაერთიანების გარდა, ასახულია, როგორც გამოქვითვა კაპიტალში შემოსავლებიდან. მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ნამატი გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე, აღიარებულია, როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები წარმოდგინდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ემატება დივიდენდის თანხას და ასახულია პირდაპირ კაპიტალში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებელის შედინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. მრავალელემენტიანი შეთანხმებების შემთხვევაში, კომპანია ინდივიდუალურ მომსახურებებს ცალ-ცალკე აღრიცხავს, თუ ისინი განსხვავებულია (გამიჯვნადია). მთლიანი ანაზღაურება გადანაწილდება ცალკეულ მომსახურებებს შორის ამ მომსახურებების ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების შესაბამისად. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება ფასთა ნუსხის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც კომპანია ყიდის საკუთარ ოპერაციების დამუშავებისა და ტექნიკურ მომსახურებებს.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც (ან, როგორც კი) ის აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით. თითოეული შესრულების ვალდებულებისთვის, კომპანია ადგენს, ხელშეკრულების შექმნის დროს, დააკმაყოფილებს თუ არა იგი შესრულების ვალდებულებას დროთა განმავლობაში, ან დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დროის გარკვეულ წერტილში. მომხმარებლისათვის საქონლის გადაცემის შემთხვევაში, კომპანია აღიარებს შემოსავალს იმისდა მიხედვით, თუ როდის გადადის კონტროლი მომხმარებელზე. აქტივზე კონტროლი ფასდება იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ამ აქტივის გამოყენების მიმართულების მართვის შესაძლებლობა, და და აქტივიდან არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღების უნარი. კონტროლი ასევე მოიცავს შესაძლებლობას, ხელი შეუშალონ სხვა სუბიექტებს აქტივის გამოყენებისა და სარგებელის მიღებისაგან.

როგორც კი კომპანია შეასრულებს თავის შესრულების ვალდებულებებს, ის აღიარებს შემოსავალსა და შესაბამის ხარჯს მოგება-ზარალის დამოუკიდებელ ანგარიშგებაში. კომპანია იყენებს ხარჯთაღრიცხვის შეწონილ მეთოდს გაყიდული საქონლის თვითღირებულების აღსარიცხად.

სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია სამუშაო ვალუტაში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის სამუშაო ვალუტის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის დამოუკიდებელ ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი). იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც თავდაპირველი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც არაფულადი მუხლის მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, ამ მოგების ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში, ხოლო, როდესაც არაფულადი მუხლის მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში, ამ მოგების ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგება-ზარალში.

„სებ"-ის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი იყო:

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გარძელება)

	ლარი გირვანქა სტერლინგთან მიმართებით	*ლარი აშშ დოლართან მიმართებით*	*ლარი ევროსთან მიმართებით*
2020 წლის 31 დეკემბერი	4.4529	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	3.7593	2.8677	3.2095

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის" ტესტში მოყვანილი საკომისიოები.

ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის შესწორება. ცვლილება განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს იმის შეფასებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან. ამ საკომისიოებში შედის მხოლოდ მსესხებელსა და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მსესხებელმა ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს. საწარმო ცვლილებებს იყენებს იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღით ან თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას.

ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ჯგუფი აღნიშნულ ცვლილებას გამოიყენებს ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური პერიოდის დასაწყისიდან, რომლის განმავლობაშიც იგი პირველად იყენებს ცვლილებას და არ მოელის, რომ ეს არსებით გავლენას მოახდენს მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება – მეორე ფაზის ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში. ფასს 4-სა და ფასს 16-ში.

2020 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება – მეორე ფაზის ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-ში, ფასს (IFRS) 7-ში. ფასს (IFRS) 4-სა და ფასს (IFRS) 16-ში (ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების (IBOR) შესწორების მეორე ფაზა), ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების უპროცენტო განაკვეთებით ჩანაცვლებით გამოწვეული ბუღალტრული პრობლემების გადასაჭრელად.

ცვლილება მოიცავს რამდენიმე შეღავათს და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას. შეღავათები ვრცელდება ფინანსური ინსტრუმენტის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსიდან ურისკო განაკვეთზე გადატანაზე.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში ცვლილებები, გამარტივებული მიდგომის მიხედვით, უნდა აღირიცხოს, როგორც ცვლილებები ცვალებად საპროცენტო განაკვეთში, თუკი ფინანსური ინსტრუმენტის გადატანა ბანკთაშორისი შეთავაზების საორიენტაციო ინდექსიდან ურისკო განაკვეთზე ხდება ეკონომიკურად თანაბარ პირობებში. ცვლილებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

კომპანია ამჟამად მუშაობს ამ სტანდარტზე გადასვლაზე და ცვლილებას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან – 2021 წლის 1 იანვრიდან.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დამოუკიდებელ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, კომპანიის ხელმძღვანელობის წევრები სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას იყენებენ თავიანთ შეხედულებებსა და შეფასებებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის დამოუკიდებელ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის, მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც შესაძლებელია, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება (მე-9 შენიშვნა).

ფინანსური აქტივების რეზერვი

ფასს 9 ხელმძღვანელობას ავალდებულებს მთელი რიგი გადაწყვეტილების (განსჯის), დაშვების და შეფასების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვზე. შეფასებები და გადაწყვეტილებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ცოდნასა და წარსულში მიღებულ გამოცდილებას. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას თავის ყველა ფინანსურ აქტივზე და ასახავს მოსალოდნელ ზარალს მათზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა, რომელიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, არის სხვაობა შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები სს "საქართველოს ბანკში", რომლებიც ძირითადად დენომინირებულია ქართულ ლარში.

6. გადახდილი ავანსები, მიღებული ავანსები, ღონისძიებიდან მიღებული შემოსავალი და ღონისძიებისთვის მოსამზადებელი ხარჯები

2020-ში, საქართველოში უნდა გამართულიყო ცნობილი ამერიკელი მომღერლის, ლენი კრავიტსის კონცერტი, რომლის ორგანიზებაშიც კომპანიაც იღებდა მონაწილეობას. შესაბამისად, 2019 წლის ბოლოსთვის, კომპანიამ წინასწარი გადახდები გააკეთა საორგანიზაციო ხარჯებისთვის და აღიარა მიღებული ავანსები გაყიდულ ბილეთებზე. თუმცა, 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული ახალი კორონავირუსის პანდემიისდა გამო, კონცერტი გაუქმდა. შედეგად, 2020 წლის შუა თვეებში, საორგანიზაციო ხარჯების თანხები უკან დაუბრუნდა კომპანიას, ხოლო, გაყიდული ბილეთების თანხები კომპანიამ უკან ჩაურიცხა კლიენტებს.

7. ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან

2019 წლის ბოლოსთვის, კომპანიას ჰქონდა ნასესხები სახსრები კომპანიის სს „ბიჯეო ჯგუფისგან", რომელიც სრულად ჩაიფარა 2020 წლის ივლისში. 2020 და 2019 წლებში, ნასესხებ სახსრებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 175 და 51 ლარი, შესაბამისად.

(ათას ლარში)

8. რისკის მართვა

შესავალი

კომპანიის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის რენტაბელურობისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. კომპანიის საქმიანობას ახასიათებს საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი თავის მხრივ იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკებად. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიებსა და დარგებში მომხდარი ცვლილებები. მათი კონტროლი ხდება კომპანიის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

რისკის მართვის სტრუქტურა

„BOGG"-ის, „სოლოს" საბოლოო მშობელი კომპანიის მმართველ ორგანოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომპანიის რისკების მართვის პროცესში.

<u>აუდიტის კომიტეტი</u>
„BOGG"-ის აუდიტის კომიტეტი ეხმარება „სოლოს" ხელმძღვანელობის წევრებს კომპანიის ფინანსური და საანგარიშგებო პროცესების ზედამხედველობაში. იგი აკვირდება ფინანსური ანგარიშგებების თანმიმდევრობას და პასუხისმგებელია როგორც შიდა აუდიტის ფუნქციის ისე გარე აუდიტორის ფუნქციის მართვაზე, ანგარიშის ინფორმაციის მიწოდებაზე. კომიტეტი განიხილავს შესაბამისობასთან, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, საინფორმაციო უსაფრთხოებასთან (მათ შორის, კიბერ-უსაფრთხოებასთან) და სხვა საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული პოლიტიკების, პროცედურებისა და სისტემების ეფექტურობას და მჭიდროდ თანამშრომლობს რისკების კომიტეტთან, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შეფასების პროცესში.

რისკის მართვის სტრუქტურა (გაგრძელება)

<u>რისკის კომიტეტი</u>
„BOGG"-ის რისკების კომიტეტი ეხმარება „სოლოს" ხელმძღვანელობის წევრებს კომპანიის რისკების მონიტორინგში. იგი განიხილავს კომპანიის რისკებს სტრატეგიასთან მიმართებით, გამოავლენს და აკვირდება რისკებისადმი მგრძნობელობას და რისკის მართვის ინფრასტრუქტურას, ზედამხედველობს რისკების სტრატეგიის განხორციელებას, და აუდიტის კომიტეტთან ერთად აფასებს რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების ძალასა და ეფექტურობას.

<u>მმართველი საბჭო</u>
მმართველ საბჭოს აქვს ზოგადი ვალდებულება კომპანიის აქტივებთან, ვალდებულებებსა და რისკის მართვის ქმედებებთან, პოლიტიკასა და პროცედურებთან დაკავშირებით. რისკის მართვის სისტემის ეფექტურად გამოყენების მიზნით, დირექტორთა საბჭო ინდივიდუალურ რისკის მართვის ფუნქციებს გადასცემს კომპანიის სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღებ და აღმასრულებელ ორგანოებს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული. კომპანიას არ აქვს რეიტინგის სისტემა, რომ შეაფასოს არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული აქტივების საკრედიტო ხარისხი. საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრება კონკრეტული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებით.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოს ფარგლებში.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ მოახერხოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანიას არ ემუქრება რაიმე არსებითი ლიკვიდურობის რისკი.

(ათას ლარში)

8. რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები. კომპანიას არ ემუქრება რაიმე არსებითი საბაზრო რისკი, მათ შორის, არც სავალუტო რისკი, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგით და მათზე რეაგირებით, კომპანია ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლის სისტემა ითვალისწინებს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, ხელმისაწვდომობას, უფლებამოსილების მინიჭებისა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადებისა და შეფასების პროცესებს.

9. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხვდებიან მე-2 დონის კატეგორიაში და წარმოადგენენ აქტივებს, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც განმარტებით შენიშვნებშია წარმოდგენილი. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულებები მათი საბალანსო ღირებულებების ტოლია.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე ანაბრებს კონკრეტული ვადის გარეშე და ცვალებადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ფასდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

10. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ ფლობილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხვდებიან 'მოთხოვნამდე' კატეგორიაში, მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების ანალიზის დროს. ხელმძღვანელობის წევრები მიიჩნევენ, რომ ლიკვიდურობა საკმარისია კომპანიის არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა:

(ათას ლარში)

10. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

	2020 წლის 31 დეკემბერი			*2019 წლის 31 დეკემბერი*		
	1 წლამდე	*1 წლის შემდეგ*	*სულ*	*1 წლამდე*	*1 წლის შემდეგ*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი	1,618	-	1,618	1,525	-	1,525
დებიტორული მოთხოვნები	130	-	130	64	-	64
გადახდილი ავანსები	56	-	56	4,525	-	4,525
სასაქონლო-მატერიალური	1,219	-	1,219	1,287	-	1,287
არამატერიალური აქტივები	-	1	1	-	2	2
ძირითადი საშუალებები	-	22	22	-	38	38
სულ აქტივები	**3,023**	**23**	**3,046**	**7,401**	**40**	**7,441**
ნასესხები სახსრები	-	-	-	4,352	-	4,352
მიღებული ავანსები	2	-	2	360	-	360
ანარიცხები თანამშრომელთა	15	-	15	21	-	21
კრედიტორული დავალიანებები	258	-	258	163	-	163
სულ ვალდებულებები	**275**	**-**	**275**	**4,896**	**-**	**4,896**
წმინდა	**2,748**	**23**	**2,771**	**2,505**	**40**	**2,545**

11. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები" მიხედვით, მხარეები მიიჩნევიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა მხარეთა დამოუკიდებლობის პრინციპით.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას არ მიუღია ანაზღაურება „სოლოსგან". მათი ანაზღაურება დაკავშირებულ მხარეთა კომპანიებისგან მომდინარეობს.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია:

	31 დეკემბერი, 2020 წ.		*31 დეკემბერი, 2019 წ.*	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	*აქციონერები*	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	*აქციონერები*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,618	-	1,525	-
დებიტორული მოთხოვნები	-	-	17	-
მიღებული ავანსები	-	-	-	-
ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან	-	-	-	4,352

	2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის		*2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის*	
მოგება-ზარალის ანგარიშგება	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	*აქციონერები*	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	*აქციონერები*
ღონისძიებიდან მიღებული შემოსავალი	-	-	-	-
სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	2,042	-	2,067	-
ადმინისტრაციული ხარჯები	(179)	-	(162)	-
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხებ სახსრებზე	-	(175)	-	(51)